MES 4 22 0001672568

29/12/2022

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
მანანა ჯინჭარაძე-სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი.
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
მზია ყანჩელი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნინო სტეფანიშვილი--ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

გვანცა ნინიძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მარი მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
გვანცა მეტრეველი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ქანდას საჯარო სკოლა
ნინო ჭოხური-სკოლის დირექტორი

შპს არასახელმწიფო საერო საუნივერსიტეტო საშუალო სკოლა შოვი
იოსებ გუტაშვილი-სკოლის დირექტორი

შპს მზეკაბანი-2007
ნატა ცხადაძე-სკოლის წარმომადგენელი

შპს მწვანე სკოლა
ბაკურ სულაკაური-სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ქანდას საჯარო სკოლა
ირმა ხუციშვილი
თამარ მიდელაშვილი

შპს არასახელმწიფო საერო საუნივერსიტეტო საშუალო სკოლა შოვი
ქეთევან ბოტკოველი
ლიანა კობესაშვილი

შპს მზეკაბანი-2007
ქეთევან ბოტკოველი
ნანა ედიშერაშვილი

შპს მწვანე სკოლა
მაკა ტუკვაძე
თეონა ყაჭეიშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2022 წლის 16 დეკემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო

16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1. სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ქანდას საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს არასახელმწიფო საერო საუნივერსიტეტო საშუალო სკოლა შოვის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს მზეკაბანი-2007 -ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს მწვანე სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ქანდას საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ირმა ხუციშვილმა და თამარ მიდელაშვილმა.
ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა, განაცხადა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, დაწესებულებას სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით მიეცა რამდენიმე რეკომენდაცია, კერძოდ, სკოლას ყოველი მომდევნო წლის სასკოლო სასწავლო გეგმისათვის მუშაობა უნდა დაეწყო სასწავლო წლის დასრულებისთანავე-განვლილი სასწავლო წლის შედეგების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა, აქვე, დაადასტურა, რომ სკოლამ აღნიშნული რეკომენდაცია გაითვალისწინა: მან გააანალიზა

2021-2022 სასწავლო წლის შედეგები, გამოკვეთა გასაუმჯობესებელი მხარეები და შეფასების საფუძველზე შეიმუშავა რეკომენდაციები 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმისათვის. საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, ექსპერტების მხრიდან, ასევე, გაიცა რეკომენდაცია სასკოლო სასწავლო გეგმა ყოფილიყო ორიენტირებული სკოლის მისიითა და სპეციფიკით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის გზებზე. ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა, დაადასტურა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებამ გაითვალისწინა და სასკოლო სასწავლო გეგმა ორიენტირდა სკოლის განახლებული მისიის შესრულებაზე. ირმა ხუციშვილის თქმით, სკოლაში დაგეგმილი იყო და ხორციელდებოდა მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობები, პროექტები და დამატებითი ღონისძიებები. მან, აქვე, აღნიშნა, რომ დაწესებულება ფორმალური განათლების გარდა, მოსწავლეთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ეფექტიანად იყენებდა არაფორმალურ განათლებას წრეების სახით. ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა, ასევე, ისაუბრა საგანმანათლებლო პროგრამებთან გაცემულ კიდევ ერთ რეკომენდაციაზე და აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაცია ითვალისწინებდა სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში დეტალურად გაწერილიყო სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესი და პირობები. აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებამ გაითვალისწინა და წარმოდგენილ სასკოლო-სასწავლო გეგმაში დეტალურად გაწერა დისტანციური სწავლების წესი. აქვე, ირმა ხუციშვილმა განმარტა, რომ სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, გაიცა რეკომენდაცია განმავითარებელი შეფასების ხშირ და მიზნობრივ გამოყენებაზე, ამავდროულად, ექსპერტის თქმით, სკოლას სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით სისტემატურად უნდა ემუშავა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვასა და გამოყენებაზე, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას. ექსპერტმა, დაადასტურა, რომ დაწესებულებამ გაცემული რეკომენდაციები გაითვალისწინა.

ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა, ისაუბრა, დაწესებულების მატერიალური რესურსის შესახებ და აღნიშნა, რომ დოკუმენტაციით არ დასტურდებოდა სკოლის მთლიანი მფლობელობა, რის შესახებაც, ექსპერტების მხრიდან, გაიცა რეკომენდაცია სრული ფართი გადასულიყო სკოლის მფლობელობაში. აქვე, ირმა ხუციშვილმა დაადასტურა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად, სკოლის დაზუსტებული ფართობი გადაცემული ჰქონდა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ სსიპ- მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქანდის საჯარო სკოლას მოსარგებლის არსებობის ვადით და სრული ფართი გადასული იყო სკოლის მფლობელობაში. ექსპერტების მიერ, ასევე, გაიცა რეკომენდაცია დროულად აღჭურვილიყო დაწესებულება 220 მოსწავლისათვის განკუთვნილი დამატებითი ინვენტარით. ირმა ხუციშვილის თქმით, დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაცია გაითვალისწინა და წარმოადგინა 220 მოსწავლისათვის განკუთვნილი ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა, აქვე, დასძინა, რომ მატერიალურ რესურსთან მიმართებით გაცემული კიდევ ერთი რეკომენდაცია გულისხმობდა გარე სპორტული დარბაზის ხელოვნური საფარით დაფარვასა და დაწესებულების ვებ-გვერდის შექმნას, რომელსაც ექნებოდა, როგორც საინფორმაციო, ასევე, საკომუნიკაციო ფუნქცია. ექსპერტმა დაადასტურა, რომ დაწესებულებამ გაცემული რეკომენდაციები გაითვალისწინა.

ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა, ასევე, ისაუბრა, დაწესებულების ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომლის შესახებაც, აღნიშნა, რომ სასურველი იყო დაწესებულებას სკოლის e-school-ის ბაზაში არ დაფიქსირებულიყვნენ სკოლიდან გასული პედაგოგები. მისი თქმით, სასურველი იყო საშუალო საფეხურის დამატების შემთხვევაში, სკოლას დაემატებინა დირექტორის მოადგილის შტატი სასწავლო დარგში სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით. ექსპერტმა აქვე განმარტა, რომ სკოლას ვიზიტის პერიოდში ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული საჭირო რაოდენობის 21 მასწავლებელი, რომლებიც ფიქსირდებოდნენ e-school-ის ბაზაში. ირმა ხუციშვილის თქმით, სკოლამ, დაამატა დირექტორის მოადგილის შტატი სასწავლო

აღმზრდელობით დარგში. ექსპერტმა დაადასტურა, რომ დაწესებულებაში ყველა თანამშრომელთან გაფორმებული იყო კანონმდებლობით გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან საბჭოს წევრებთან.
საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, რამდენად უზრუნველყო დაწესებულებამ სპორტული მოედნის ხელოვნური საფარით დაფარვა და, ასევე, როგორ ნერგავდა დაწესებულება ეროვნულ სასწავლო გეგმას. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებამ შეიძინა სპორტული ბალახი, რომელიც თებერვლის თვეში დაითესებოდა. სკოლის სასწავლო ნაწილის განმარტებით, ხარისხის ჯგუფი ახორციელებდა დასწრებას საგაკვეთილო პროცესზე, იძლეოდა უკუკავშირს, მუშაობდნენ განმავითარებელ შეფასებაზე. მისი თქმით, სკოლაში ფუნქციონირებდა ეკო-კლუბი, სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებლები კი ჩართული იყვნენ USAID-ის პროგრამასა და ახალი სკოლის მოდელში.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, ჰქონდათ თუ არა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული გეგმა დამტკიცებული იყო სამეურვეო საბჭოზე, თუმცა არ იყო შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. აქვე, ეკატერინე კვირიკაშვილმა მიმართა სკოლას და აღნიშნა, რომ საგანგებო სიტუაციებზე მართვის გეგმა დაწესებულებას აუცილებლად უნდა შეეთანხმებინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ქანდას საჯარო სკოლის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ქანდას საჯარო სკოლის (ს/კ: 236088292) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრების ერთობლივი გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, საგანგებო სიტუაციებზე მართვის გეგმა შეეთანხმებინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან და შეთანხმებისთანავე წარმოედგინა დოკუმენტი ცენტრში.

2. შპს არასახელმწიფო საერო საუნივერსიტეტო საშუალო სკოლა შოვის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს სხდომას 16:29 საათზე შეუერთდა საბჭოს წევრი ქეთევან ნატროშვილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა ქეთევან ბოტკოველმა და ლიანა კობესაშვილმა.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ დაწესებულების მისია იყო, აღეზარდა ანალიტიკურად მოაზროვნე, დამოუკიდებელი, მოტივირებული, წიგნიერი, კონკურენტუნარიანი, სამართლიანი და საკაცობრიო ღირებულებების მატარებელი პიროვნება. ექსპერტის თქმით, დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა და, ასევე, გასული წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება SWOT-ანალიზის სახით, რომლის შედეგებიც გათვალისწინებული იყო 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, დაადასტურა, რომ დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმა შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას.

ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში მეორე უცხოური ენა ისწავლებოდა მე-5-ე კლასიდან. მეორე უცხოურ ენად კი შეთავაზებული იყო გერმანული ან რუსული ენები. მშობლების მოთხოვნის შედეგად, კი არჩეული იყო რუსული ენა. ექსპერტის თქმით, არჩევითი საგნებიდან დაწესებულება მოსწავლეებს სთავაზობდა ფოლკლორსა და მითოლოგიას, XIX-XX საუკუნეების დასავლურ ლიტერატურასა და სახელმწიფო სამართალს. დამატებით სავალდებულო მომსახურებად სკოლას განსაზღვრული ჰქონდა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება-XII კლასში, ინგლისური ენა კი IX-XII კლასებში.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, აღნიშნა, რომ დაწყებით კლასებში მოსწავლეების კითხვითი უნარების გაუმჯობესების, წიგნიერების განვითარებისა და პოპულარიზაციის, ესთეტიკური და შემოქმედებითი უნარების განვითარების მიზნით, დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა საკუთარი პროგრამა სახელწოდებით ,,ზღაპარი“. აღნიშნული პროგრამა ისწავლებოდა დამატებით სავალდებულო საგნად II-IV კლასებში. ექსპერტ, ქეთი ბოტკოველის თქმით, სკოლაში ფუნქციონირებდა მათემატიკისა და ჭადრაკის წრე, ასევე, მკითხველთა კლუბი.

ქეთი ბოტკოველმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებდა ხუთი საგნობრივი კათედრა. მისი თქმით, პორტფოლიოებში თავმოყრილი იყო კათედრების სამოქმედო გეგმები, მათ მიერ განხორციელებული და/ან განსახორციელებელი პროექტები და შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები. კათედრების მიხედვით წარმოდგენილი იყო, ასევე, მატრიცები და შეფასების რუბრიკები. ექსპერტის თქმით, კათედრების პორტფოლიოში წარმოდგენილი პროექტები ემსახურებოდა მოსწავლეებში შემოქმედებითი, თანამშრომლობითი და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებდნენ მრავალფეროვან სასწავლო სტრატეგიებსა და დიფერენცირებულ სწავლებას. ხოლო იმ შემთხვევაში თუ მოსწავლეს საპატიო მიზეზით გაუცდებოდა გაკვეთილები და საგანში გავლილი მასალის დასაძლევად ესაჭიროებოდა კონსულტაციები, უნიშნავდნენ დამატებით მეცადინეობას. ქეთი ბოტკოველმა განაცხადა, რომ დაწესებულებას სსსმ მოსწავლე არ ჰყავდა, თუმცა, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმით, ასევე, მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდებოდა მათი მზაობა ემუშავათ სსსმ მოსწავლესთან. ექსპერტის თქმით, სკოლა

უზრუნველყოფდა საკუთარ მოსწავლეებს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით.
ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმებში ყურადღება გამახვილებული იყო კლასის საჭიროებებზე და დაგეგმილი იყო სამომავლოდ განსახორციელებელი ღონისძიებები. მისი თქმით, მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდებოდა, რომ მოსწავლეების მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალების ანალიზის დროს გამოვლენილ ხარვეზებზე მუშაობა გრძელდებოდა, როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე, დამატებითი მეცადინეობის დროს. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ შემაჯამებელ დავალებებში რიგ შემთხვევაში გამოყენებული იყო კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები, რის მიმართაც სკოლას ექსპერტების მხრიდან მიეცა რჩევა, შემაჯამებელი დავალებების ძირითად ნაწილში კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენების შესახებ.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა მშობლის ინფორმირების წესი. მისი თქმით, სკოლის მართვის ელექტრონული სისტემა ,,EduPage“ მშობლებს აძლევდა საშუალებას სისტემურად ედევნებინა თვალი საკუთარი შვილების აკადემიურ მოსწრებას და გაცნობოდნენ მათ სასწავლო შედეგების დინამიკას განმავითარებელი რუბრიკების დახმარებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, შემუშავებული ჰქონდა ,,2022-2023 ს/წლის შპს არასახელმწიფო საერო საუნივერსიტეტო საშუალო სკოლა ,,შოვის“ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმის დოკუმენტი.“ ექსპერტის თქმით, დაწესებულებას, ასევე, შემუშავებული ჰქონდა გეგმა სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგისათვის. აღნიშნული გეგმის შესაბამისად, სკოლის მიერ განხორციელებული სამუშაო ჯამდებოდა, მუშავდებოდა რეკომენდაციები და წარედგინებოდა დირექციას. შემაჯამებელი ანგარიში, ასევე, წარედგინებოდა პედაგოგიურ საბჭოს.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ სკოლა შენობას ფლობდა იჯარის ხელშეკრულებით, რომელიც საქართველოს მთავრობის განკარგულებით, გაფორმებული იყო სსიპ-სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოსთან 2022 წლის 31 დეკემბრამდე. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა 2022 წლის 29 სექტემბერს სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარესთან გაგზავნილი წერილი, იჯარის ხელშეკრულების გაგრძელებასთან დაკავშირებით და, ასევე, სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საპასუხო წერილი, რომლის თანახმადაც, სააგენტოში მიმდინარეობდა ადმინისტრაციული წარმოება და რომლის დასრულებისა და მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე სკოლას ეცნობებოდა დამატებით. ქეთევან ბოტკოველის, თქმით, სკოლას აღნიშნულა ცნობა ჯერ არ ჰქონდა მიღებული.
ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებდა 12 საკლასო ოთახი, რომელშიც განთავსებული იყო 172 ინდივიდუალური მერხი და სკამი. მისი თქმით, დაწყებითი საფეხურის საკლასო ოთახებსა და გეოგრაფიის კაბინეტში დამონტაჟებული იყო SMART ტელევიზორები. სკოლაში ფუნქციონირებდა 2 სპორტული დარბაზი და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებული იყო 3950 წიგნადი ერთეული. სკოლას ჰქონდა საკუთარი ვებ-გვერდი, რომელზედაც წარმოდგენილი იყო ყველა ის ველი, რომლებიც ემსახურებოდა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. ექსპერტებმა დაწესებულებას ვებ-გვერდთან დაკავშირებით მისცეს რჩევა სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებთან ერთად, ასევე, აეტვირთათ სასკოლო სასწავლო გეგმა, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, შესრულებული სამუშაოს ანგარიშები და შინაგანაწესი. ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა დაადასტურა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო უსაფრთხო გარემო. ასევე, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები სრულად შეესაბამებოდა 2022 წლის 21 მარტის N41ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტს.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა დაწესებულების ექვსწლიანი განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, რომლებიც

დაფუძნებული იყო სკოლის SWOT-ანალიზზე. მისი თქმით, დაწესებულებას ექსპერტთა მხრიდან მიეცა რჩევა სამოქმედო გეგმის შედგენის დროს მეტი ყურადღება დაეთმო ანალიზის შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესებას.
ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში დასაქმებული იყო 20 პედაგოგი. სკოლაში დასაქმებულ ყველა პირთან კი გაფორებული იყო შრომითი ხელშეკრულებები, შრომის კოდექსისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები დაცვით. ექსპერტის თქმით, დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა, ასევე, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ სკოლა ორიენტირებული იყო განვითარებაზე და იმართებოდა დემოკრატიული პრინციპებით. მისი თქმით, სკოლის კურსდამთავრებულები სკოლაში მიღებული ცოდნით წარმატებით აბარებდნენ ეროვნულ გამოცდებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, მიიღო თუ არა დაწესებულებამ ქონების ფლობასთან დაკავშირებით პასუხი ქონების მართვის სააგენტოსგან. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ქონების სააგენტოსგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ხელშეკრულება იჯარის გაგრძელების თაობაზე უახლოეს მომავალში დაიდებოდა.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 280 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

სკოლის დირექტორის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 20 დეკემბრის N150 გადაწყვეტილებით შპს არასახელმწიფო საერო საუნივერსიტეტო საშუალო სკოლა შოვს 6 წლის ვადით მიენიჭა ავტორიზაცია. სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო საბჭოს სხდომის ჩატარების დღეს, 2022 წლის 16 დეკემბერს. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს არასახელმწიფო საერო საუნივერსიტეტო საშუალო სკოლა შოვის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 280 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2-ე პუნქტისა და მე-7-ე პუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს არასახელმწიფო საერო საუნივერსიტეტო საშუალო სკოლა შოვს (ს/კ: 208206895) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 280 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს გადაწყვეტილებით, სკოლას განესაზღვრა რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც, დაწესებულებას ხელშეკრულების მიღებისთანავე, ცენტრში უნდა წარმოედგინა სსიპ-ქონების ეროვნულ სააგენტოსთან დადებული ხელშეკრულება იჯარის გაგრძელებასთან დაკავშირებით.

3. **შპს მზეკაბანი-2007 -ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბოტკოველმა და ნანა ედიშერაშვილმა.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ საავტორიზაციო ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 2022 წლის 10 და 11 ნოემბერს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა იყო ორიენტირებული განვითარებაზე, დაწესებულების მმართველი გუნდი აქტიურად იყო ჩართული სიახლეების დანერგვის საქმეში, ასევე, სკოლა ორიენტირებული იყო არაფორმალური განათლების განვითარებაზე.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა შედგენილი იყო ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე და უზრუნველყოფდა მოსწავლეებს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. მისი თქმით. სკოლაში არ ირიცხებოდა სსსმ მოსწავლე, თუმცა დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სპეციალური პროგრამა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლისათვის. ქეთევან ბოტკოველმა განმარტა, რომ დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების სახით, სკოლაში შეთავაზებული იყო ინგლისური ენის, ისტორიის, ჭადრაკისა და მათემატიკის წრეები. დაწესებულებაში, ასევე, ფუნქციონირებდა მოსწავლეთა არაფორმალური განათლების კლუბები, მათ შორის ,,ჩხირკედელა“, დებატკლუბი, ინტელექტუალთა კლუბი-რა? სად? როდის? აქვე, ექსპერტმა დასძინა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა წრეების პროგრამა, თემატიკა და სამუშაო მეთოდოლოგია, ასევე, კლუბების დებულებები,

სადამრიგებლო პროგრამა, სადაც გაწერილი იყო დამრიგებლის ფუნქცია მოვალეობები და პრინციპები, დამრიგებლის მუშაობის მიზანი, რეკომენდაციები ,,სადამრიგებლო საათის“ განხორციელებისათვის, ასევე, სადამრიგებლო საათის თემები მიმართულებების მიხედვით.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ სკოლაში ტარდებოდა სადირექციო წერები, რომელთა მიზანს წარმოადგენდა მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და მათი გათვალისწინება მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. ქეთევან ბოტკოველის თქმით, სკოლას შემუშავებული ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი, რომლის მიზანიც იყო სწავლების ხარისხის მაჩვენებლების მონიტორინგი, მათი მუდმივი სრულყოფა და აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, აღნიშნა, რომ დაწესებულება მდებარეობდა ქ. თერჯოლაში. მისი თქმით, დაწესებულებას ორსართულიანი შენობა იჯარის 10 წლიანი (2017 წლის 05 სექტემბრიდან-2027 წლის 05 სექტემბრამდე) ხელშეკრულების თანახმად გადაეცა სსიპ-თვითმმართველი თემი თერჯოლის მუნიციპალიტეტისაგან. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლამ თხოვნით მიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას ხელშეკრულების გაგრძელებასთან დაკავშირებით. ქეთევან ბოტკოველმა დაადასტურა, რომ დაწესებულებამ დასკვნის პროექტის არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შეთანხმების წერილი და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, მხარეებს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულება გახანგრძლივდა 2029 წლის 05 სექტემბრამდე.
ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულებას, ასევე, შემუშავებული ჰქონდა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დებულება, ასევე, სკოლის განვითარების ექვსწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რჩევა სკოლის ვებ-გვერდზე აეტვირთა სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტაცია, მათ შორის, სკოლის წესდება, რაც უზრუნველყოფდა დაინტერესებული პირების მეტ ინფორმირებულობას.
აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ 2022-2023 წლის სასკოლო სამოქმედო გეგმა სრულად მოიცავდა სასწავლო პროცესის გაუმჯობესების საკითხებს, შესრულების დროსა და პასუხისმგებელ პირებს, თუმცა, მასში არ იყო ჩამოყალიბებული შესრულების ინდიკატორები, რასთან დაკავშირებითაც, სკოლას ექსპერტების მიეცა რჩევა, სამოქმედო გეგმის ფორმას დამატებოდა შესრულების ინდიკატორები, რომლის საშუალებითაც მარტივად შეფასებოდა მიღწეული იყო თუ არა გარკვეული მიზანი, ან შესრულდა თუ არა დასახული ამოცანა. ექსპერტ, ქეთევან ბოტკოველის თქმით, დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები, რომელიც დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის მიერ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მზებაკანი-2007-ის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს მზეკაბანი-2007-ს (ს/კ: 231948603) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

4. შპს მწვანე სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მაკა ტუკვაძემ და თეონა ყაჭეიშვილმა.
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ განაცხადა, რომ დაწესებულება მდებარეობდა ქ. თბილისში. მისი თქმით, სკოლის შიდა აზომვითი ნახაზის მიხედვით, შენობის საერთო ფართი წარმოადგენდა 3309.23 კვ.მ-ს. სკოლის შენობა იყო ოთხსართულიანი. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებდა 23 საკლასო და 4 განაყოფის ოთახი, ასევე, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ისტ-ის კაბინეტი, კინოჩვენების სივრცე, ბიბლიოთეკა, დახურული და ღია სპორტული მოედანი/დარბაზი.
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, აღნიშნა, რომ სკოლაში იყო უსაფრთხო გარემო. დაწესებულებაში მუშაობდა ფსიქოლოგი, რომელიც აფასებდა პირველკლასელ მოსწავლეებს, ადგენდა მათ სასკოლო მზაობას, ესწრებოდა გაკვეთილებს, აკვირდებოდა კლასის ყველა მოსწავლეს, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა მშობლებთან. ექსპერტის თქმით, გაკვეთილების ფორმატი აგებული იყო მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებაზე.
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, ისაუბრა დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლა ორიენტირებული იყო არაფორმალური განათლების განვითარებაზე. მისი თქმით, ყველა მოსწავლე ჩართული იყო ექსტრაკურიკულუმის აქტივობებში. სკოლის აზოში განლაგებული იყო ათეულობით უსაფრთხო ზონა მათთან მისასვლელი ბილიკებით, ბუნებრივი ხის ავეჯით/დეკორაციებით. ამავე ეზოში მდებარეობდა მსუბუქი გადახურვის მქონე გამჭვირვალე შენობა-ობიექტი, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა მოსწავლეთა მიერ წვიმის, როგორც ბუნებრივი მოვლენის ეფექტური აღქმა, კერძოდ, მოსწავლე წვიმას, არამხოლოდ ვიზუალურად, არამედ სხვა სენსორული შეგრძნებებითაც აკვირდებოდა. მაკა ტუკვაძემ განაცხადა, რომ სკოლაში მოსწავლეებს ჰქონდათ მცენარეების განვითარებასა და მწერების ფუნქციონირებაზე დაკვირვების საშუალება. აქვე, ექსპერტმა ისაუბრა სწავლა-სწავლების მეთოდზე და აღნიშნა, რომ სკოლა დაწყებით კლასებში აქტიურად

გამოიყენებდა ჰუმანური პედაგოგიკის ფუძემდებლის მარიამ მონტესორის მეთოდებს. აღნიშნული მეთოდიკის დახმარებით, მოსწავლე სწავლა-კეთების პრინციპით, სიღრმისეულად და დამოუკიდებლად ეცნობოდა საკითხებს, რაც აისახებოდა მოსწავლეთა ნამუშევრებშიც, მათ შორის, კომპლექსურ დავალებებში.

ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა მშობლებთან ურთიერთობის წესი. ექსპერტის თქმით, სკოლის საათობრივი ბადეში წარმოდგენილი იყო ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო და არჩევითი საგანი. ასევე, საათობრივ ბადეში გათვალისწინებული იყო პროექტული სწავლების საათობრივი დატვირთვა: 1 საათი სამოქალაქო განათლებაში და 1 საათი სახელოვნებო მიმართულებით. ექსპერტის თქმით, დაწესებულებაში მეორე უცხო ენის შესწავლა მე-5-ე კლასიდან იწყებოდა. მოსწავლეებს ჰქონდათ საშუალება, არჩევანი გაეკეთებინათ რუსულ ან გერმანულ ენებს შორის. მაკა ტუკვაძემ აღნიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა 7 საგნობრივი კათედრა, შემუშავებული იყო კათედრების საქმის მარეგულირებელი დებულებები. დაწესებულებას, ასევე, შემუშავებული ჰქონდა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელსაც ექვემდებარებოდა დამრიგებლისა და კათედრების მუშაობა, მასწავლებლის პორტფოლიოების წარმოების შეფასება, განმავითარებელი შეფასებები, მშობელთა ჩართულობა, სკოლის უსაფრთხოება, შემაჯამებელი სამუშაოების შეფასება და ანალიზი, პედაგოგების შეფასება, საგაკვეთილო პროცესის ხარისხი, სასწავლო პროცესში გამოყენებული თვალსაჩინოებების, რესურსებისა და დამხმარე მასალების შეფასება.

ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებაში მუშაობდა 33 მასწავლებელი, რომელთაგან 20 იყო უფროსი სტატუსის მქონე მასწავლებელი, 1 წამყვანი, 4 მაძიებელი, 8 უსტატუსო მასწავლებელი. სკოლაში, ასევე, მუშაობდა 5 დამხმარე მასწავლებელი და 7 მასწავლებლის ასისტენტი. ექსპერტის თქმით, დამხმარე მასწავლებლისა და ასისტენტის მასწავლებლის ფუნქცია იყო გარკვეული სირთულეების მქონე მოსწავლეთა პირადი ასისტენტირება და საგაკვეთილო პროცესის სრულფასოვნად განხორციელებისათვის, მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების გამოყენებაში მასწავლებლის მხარდაჭერა. მაკა ტუკვაძის თქმით, აღნიშნულ პოზიციაზე შერჩეული იყვნენ ,,დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის“ VI-VIII სემესტრის სტუდენტები, ან ფსიქოლოგის კვალიფიკაციის მქონე ახალგაზრდები, რომლებსაც სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით ეძლეოდათ კარიერული წინსვლის შესაძლებლობა გამხდარიყვნენ მწვანე სკოლის პედაგოგები.

ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შემუშავებული იყო ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმი. მისი თქმით, პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად დაწესებულება მიმართავდა ისეთ აქტივობებს, როგორებიც იყო გაკვეთილებზე ფორმალური თუ არაფორმალური ურთიერთდასწრება, ასევე, პროფესიული განვითარების ტრენინგების ჩატარება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, გიორგი გიგიბერიამ, კითხვით მიმართა ექსპერტებს დაეზუსტებინათ, დამონტაჟებული იყო თუ არა საკლასო ოთახებში სათვალთვალო კამერები. დასმული კითხვის საპასუხოდ, ექსპერტებმა მაკა ტუკვაძემ და თეონა ყაჭეიშვილმა, დაადასტურეს, რომ საკლასო ოთახებში სათვალთვალო კამერები არ იყო დამონტაჟებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მწვანე სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს მწვანე სკოლას (ს/კ: 404587185) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 17:26 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა